

საქართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ოქსციციის სსსკლსო კომისარიატის გამოცემა

1929 წ. მარტის 22

№ 4

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

37. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—სსრ კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საექციო საზოგადოებათა დებულების გამოცემასთან დაკავშირებით (სსრ კ-ის კან. კრებ. 1927 წ. 49 №-რი, მუხ. 500) სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

38. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.—საქონლის ჰირის მხრით საქართველოს სსრ ტერიტორიის არასაშიშ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ.

სენსრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

38. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სსრ კ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ საექციო საზოგადოებათა დებულების გამოცემასთან დაკავშირებით (სსრ კ-ის კან. კრებ. 1927 წ. 49 №-რი, მუხ. 500) სამოქალაქო სამართლის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გაუქმებულ იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322—366 მუხ. და მათ ნაცვლად შეტანილ იქნეს აღნიშნულ კოდექსის მე-X თავის მე-5 კარში 322—366⁹⁹ მუხ. შემდეგი შინაარსისა:

5. სააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა).

1. ზოგადი დებულებანი.

მუხ. 322. სააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა) არის იურიდიული პირი, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული წესდების საფუძველზე, განსაზღვრულ რიცხვის თანასწორ ნაწილად (აქციად, პაიდ) დაყოფილ საწესდებო (ძირითად) კაპიტალით. აქციონერი (მეპაიე) პასუხს არ აგებს სააქციო საზოგადოების ვალდებულებისათვის. არც სააქციო საზოგადოება აგებს პასუხს აქციონერის ვალდებულებისათვის.

შენიშვნა. ამა კანონში და მთლად კანონმდებლობაშიაც სააქციო საზოგადოებათა შესახებ სიტყვებს: „სააქციო საზოგადოება“ და „საპაიო ამხანაგობა“ „აქცია“ და „პაი“, „აქციონერი“ და „მეპაიე“, „საწესდებო“ და „ძირითადი კაპიტალი“ ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვთ.

მუხ. 323. სააქციო საზოგადოების დაარსება შეიძლება მხოლოდ განსაზღვრული სამეურნეო მოქმედების განსახორციელებლად, რაც ზედმიწევნით უნდა იყოს აღნიშნული მის წესდებაში.

მუხ. 324. სააქციო საზოგადოება სახელმწიფო საზოგადოებად ჩაითვლება, უკეთუ მისი წესდებით გათვალისწინებულია, რომ საზოგადოების ყველა აქცია უნდა ეკუთვნოდეს მარტოდენ სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ.

სააქციო საზოგადოება შერეულ საზოგადოებად ჩაითვლება, უკეთუ მისი წესდებით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ უნდა ეკუთვნოდეს: ან საზოგადოების აქციების ისეთი ნაწილი, რაც ამ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ნახევარზე ნაკლები არ არის, ან უფლება დაიპირონ საზოგადოების მიერ ასარჩევ ორგანოებში ყველა ადგილის ნახევარი მაინც, ან და უფლება მიიღონ არა ნაკლებ, ვიდრე საზოგადოების ოპერაციების ნახევარი დივიდენდი.

მუხ. 325. სააქციო საზოგადოებას იურიდიული პირის უფლება აქვს რეგისტრაციის მომენტიდან და ამ დროიდან მას შეუძლიან დაიწყოს ოპერაციების წარმოება (323 მუხ.) და გახსნას ფილიალები (კანტორა, განყოფილება, სააგენტო, წარმომადგენლობა და სხვ.) მთლად საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, უკეთუ მის წესდებაში არ არის განსაზღვრული რაიონი, სადაც საზოგადოებას შეუძლიან ფილიალების გახსნა და გარკვეული სახის ოპერაციების წარმოება (სამოქმედო რაიონი).

შენიშვნა. სააქციო საკრედიტო დაწესებულების წესდებაში აუცილებლად უნდა განისაზღვროს რაიონი, რომლის ფარგლებშიაც მას შეუძლიან ფილიალების გახსნა.

საამშენებლო საქციო საზოგადოების წესდებაში უნდა განისაზღვროს ის რაიონი, რომლის ფარგლებშიაც მას შეუძლიან საამშენებლო მუშაობის წარმოება და ფილიალებისა და დამხმარე საწარმოთა გახსნა.

მუხ. 326. საქციო საზოგადოებას აქვს ბეჭედი თვისი საფირმო სახელწოდების გამოსახულებით.

II. საზოგადოების დაარსება, მისი წესების დამტკიცება და შეცვლა.

მუხ. 327. საქციო საზოგადოების დამფუძნებელთა რიცხვი არ შეიძლება სამზე ნაკლები იყოს.

მუხ. 328. სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა შორის საქციო საზოგადოების დამფუძნებლად ყოფნა შეუძლიანთ:

ა) სახალხო კომისარიატს;

ბ) ისეთ ადგილობრივ საბჭოს, თვისი განყოფილების სახით, რომელიც სამაზრო საბჭოზე დაბლა არა სდგას;

გ) კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშის პრინციპზე მომქმედ სახელმწიფო საწარმოს, იმ სახელმწიფო დაწესებულების ნებართვით, რომელიც ამ საწარმოს განაგებს;

დ) სხვა ისეთ დაწესებულებას, რომელსაც კანონით აქვს საამისო უფლება.

მუხ. 329. საერთო-სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებას შეუძლიან იყოს საქციო საზოგადოების დამფუძნებლად ან აქციონერად იმ შემთხვევაში, უკეთეს საზოგადოების მიზანი შეეფერება დაწესებულების დანიშნულებას და უკეთეს საზოგადოებაში მონაწილეობისათვის საჭირო სახსარი პირდაპირ გათვალისწინებულია ბიუჯეტით ან ეძლევა მას სპეციალური ასიგნობით. უკეთეს საზოგადოებაში მონაწილეობისათვის საჭირო თანხა ბიუჯეტით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, ხოლო შეიძლება გამოიყოს ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში კრედიტების გადატან-გადმოტანით, ამ თანხის გამოყოფა შეიძლება მარტოოდენ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ან ადგილობრივ საფინანსო ორგანოსთან (კუთვნილებისამებრ) შეთანხმებით; ასეთი შეთანხმება საჭიროა მაშინაც კი, როდესაც კრედიტები გადაიტანება საგასავლო ხარჯთაღრიცხვის ერთი და იმავე თავის ერთი პარაგრაფიდან მეორეში. ასევე, სათანადო საფინანსო ორგანოებთან შეთანხმებით, სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებას შეუძლიან აქციების შექმნა მის განკარგულებაში ქონებული მატერიალური ფასეულობის ხარჯით.

მუხ. 330. კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოს საქციო საზოგადოების დამფუძნებლად აქციონერად ყოფნა შეუძლიან ქვემოაღნიშნულ პირობებში:

ა) უკეთეს საზოგადოების მიზანი შეეფერება საწარმოს დანიშნულებას;

ბ) უკეთეს დაწესებულებამ, რომელიც ამ საწარმოს განაგებს, ნება დართო მას მიიღოს მონაწილეობა ამა თუ იმ საქციო საზოგადოებაში;

გ) უკეთეს საქციო საზოგადოებაში მონაწილეობისათვის საჭირო სახსარი გათვალისწინებულია საწარმოს საფინანსო-საოპერაციო გეგმით, რაც დამტკიცებულია არსებული წესისამებრ.

მუხ. 331. ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერილი პროექტი სააქციო საზოგადოების წესდებისა წარედგინება იმ დაწესებულებას, რომლის კომპეტენციასაც შეადგენს წესდების დამტკიცება.

მუხ. 332. სააქციო საზოგადოების წესდებაში გათვალისწინებულ უნდა იყოს;

ა) საზოგადოების საფირმო სახელწოდება;

ბ) საზოგადოების მოქმედების საგანი;

გ) დამფუძნებელთა სახელწოდება და მათი მოქალაქეობა;

დ) საზოგადოების მოქმედების რაიონი (მუხ. 325), უკეთეს იგი განსაზღვრულია;

ე) გამგეობის სამყოფელი ადგილი;

ვ) საზოგადოების არსებობის ვადა. უკეთეს ეს ვადა განსაზღვრულია.

ზ) საწესდებო კაპიტალის რაოდენობა, აქციების რიცხვი და პირველდებული ფასი;

თ) საზოგადოების აქციების განაწილებისა და საწესდებო კაპიტალის დაფარვის წესი;

ი) აქციების კატეგორიება, უკეთეს კატეგორიები განსაზღვრულია, მათთან დაკავშირებული პრივილეგიები და ამ პრივილეგიების განხორციელების წესი;

კ) აქციების დანარიცხის უკიდურესი რაოდენობა, რაც საჭიროა დამფუძნებელთა მიერ საზოგადოების დაარსებისათვის გაწეულ საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად, და ამ დანარიცხის გადახდის ვადა, უკეთეს ასეთი დანარიცხი გადახდებთან აქციებზე ხელის მომწერთ;

ლ) საზოგადოების სარეზერვო და სპეციალური კაპიტალების რაოდენობა და ამ კაპიტალების შედგენის წესი;

მ) აქციონერთა უფლებანი;

ნ) საზოგადოების მმართველი და სარევიზიო ორგანოები, მათი გამგებლობის საგანი და მოქმედების წესი, კერძოდ, საჭიროა აღინიშნოს ის ბეჭდვითი ორგანო, სადაც უნდა იბეჭდებოდეს განცხადება საერთო კრების მოწვევის შესახებ;

ო) ანგარიშგების წესი;

პ) მოგების განაწილების წესი;

რ) საზოგადოების ლიკვიდაციის საფუძველი და წესი.

ამის გარდა, წესდებაში შეიძლება შეტანილ იქნეს სხვა რამ დებულებაც, რაც კანონს არ ეწინააღმდეგება.

შენიშვნა. სააქციო საზოგადოების კუთვნილი საწარმოს ფირმის გამოყენების წესი განისაზღვრება ცალკე დებულებით („დებულება ფირმის შესახებ“, სსრკ კან. კრ. 1927 წ. მე-40 №-რი, მუხ. 395).

მუხ. 333. ისეთი სააქციო საზოგადოების წესდება, რომლის გამგეობაც, წესდების თანახმად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზე უნდა იმყოფებოდეს, დამტკიცდება, 334 მუხლში აღნიშნული გამონაკლისით, შემდეგი წესის თანახმად:

ა) სამრეწველო სააქციო საზოგადოების წესდებას დაამტკიცებს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო;

ბ) საკრედიტო სააქციო საზოგადოების წესდებას—ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ხოლო

გ) დანარჩენ სააქციო საზოგადოებათა წესდებებს დაამტკიცებს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოს სსრ-ში.

შენიშვნა. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო და ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული წესდების იმ ნაწილს რაც საზოგადოების კაპიტალებს შეეხება, დაამტკიცებს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

მუხ. 334. წინა მუხლის წესის გათვალისწინებით, სააქციო საზოგადოების წესდება, სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისარიათა საბჭოს მიერ „სააქციო საზოგადოებათა შესახებ“ გამოცემულ დებულებაში (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 49 №-რი, მუხ. 500) და ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კ. სახალხო კომისარიათა საბჭოს მიერ „სააქციო საზოგადოებათა წესდებების დამტკიცების წესის შესახებ“ გამოცემულ დადგენილებაში (ა/კ. სფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-რი, მუხ. 37) აღნიშნული განსაკუთრებული წესით დამტკიცება შემდეგ შემთხვევებით.

ა) უკეთუ საზოგადოების დაარსებაში მონაწილეობას იღებს უცხოელი მოქალაქე ან უცხოელი იურიდიული პირი, ან უკეთუ სააქციო საზოგადოების წესდებაში აღნიშნულია, რომ აქციების შექმნა შეუძლიან უცხოელ მოქალაქეს ან უცხოელ იურიდიულ პირს;

ბ) უკეთუ საზოგადოების წესდებას საკონცესიო ხასიათი აქვს, თუნდაც უცხოეთის კაპიტალი საზოგადოებაში მონაწილეობას არ იღებდეს;

გ) უკეთუ საკრედიტო და სამშენებლო საზოგადოების წესდების თანახმად საზოგადოების მოქმედების რაიონი სცილდება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის და ა/კ. სფსრ-ის ფარგლებს;

დ) უკეთუ მთავრობის დადგენილებით ან დამფუძნებელთა შეთანხმებით მთლად აქციების 50%/-ზე არა ნაკლები უნდა ეკუთვნოდეს სსრკ-ის სახელმწიფო დაწესებულებათ ან ისეთ საწარმოთ და ორგანიზაციათ, რომელთა წესდებებშიც უნდა დაამტკიცონ სსრკ-ის ორგანოებმა;

ვ) უკეთუ საზოგადოების დაარსებაში მონაწილეობას იღებს ა/კ. სფსრ-ის სახელმწიფო დაწესებულება, ან ისეთი საწარმო და ორგანიზაცია, რომლის წესდებაც უნდა დაამტკიცოს ა/კ. სფსრ-ის ორგანომ, ან და მონაწილეობას იღებს ა/კ. სფსრ-ის შედგენილობაში შემავალი ორი ან სამი რესპუბლიკის სახელმწიფო დაწესებულება, საწარმო და ორგანიზაციები;

მუხ. 335. სააქციო საზოგადოების წესდების დამტკიცებამდე, საჭიროა გამოთხოვილ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისარიათა საბჭოსთან არსებული ეკონომიური საბჭოს წინასწარი ნებართვა საზოგადოების დაარსებისათვის.

თხოვნას საზოგადოების დასაარსებლად ნებართვის მიცემის შესახებ დამფუძნებელნი, წესდების პროექტთან ერთად, შეიტანენ სათანადო სახალხო კომისარიატში (მუხ. 333), რომელიც ამ თხოვნას თავის დასკვნით წარადგენს ეკონომიურ საბჭოში.

ამ თხოვნაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

ა) დასაარსებელი საზოგადოების საფორმო სახელწოდება;

ბ) მისი მოქმედების საგანი;

გ) საწესდებო კაპიტალის რაოდენობა და ამ კაპიტალის დაფარვის ვადები;

დ) აქციების პირველდებული ფასი და მათი განაწილების წესი;

ე) საზოგადოების გამგეობის სამყოფელი ადგილი;

ვ) დამფუძნებელთა სახელწოდება და, სათანადო შემთხვევაში, მათი მოქალაქეობა;

გ) მომქმედი კანონმდებლობის გამოწვევები, უკეთეს საზოგადოების წესდებაში გათვალისწინებულია ასეთი რამ გამოწვევისი.

შენიშვნა. უკეთეს დასაარსებელი სააქციო საზოგადოების მოქმედების საგანი შეეხება ერთსა და იმავე დროს რამდენსამე სახალხო კომისარიატის გამგებლობას 333 მუხლში აღნიშნულ სახალხო კომისარიატთა რიცხვიდან, ეკონომიურ საბჭოს დადგენილებაში საზოგადოების დასაარსებლად ნებართვის მიცემის შესახებ აღინიშნება, ამ კომისარიატთა შორის რომელს დაეკისრება წესდების დამტკიცება.

მუხ. 336. სახალხო კომისარიატის მიერ დასამტკიცებელი (მუხ. 333) სააქციო საზოგადოების წესდება, დამტკიცებამდე, —შეთანხმებულ უნდა იქნეს დაინტერესებულ უწყებებთან.

მუხ. 337. სახალხო კომისარიატის მიერ დასამტკიცებელი (333 მუხ.) წესდების ყველა ის მუხლი, რაც გამოწვევისა ამიერ-კავკასიის ცენ. აღმ. კ-ტისა და ა/კ. სახალხო კომისართა საბჭოს ან საქართველოს ცენტრალური აღმ. კ-ტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მომქმედი დადგენილებებისა დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კ. სფსრ ცენტრალური აღმასრულებელი კ-ტისა ან სახალხო კომისართა საბჭოს და საქართველოს ცენტ. აღმ. კ-ტისა ან სახალხო კომისართა საბჭოს მიერ. ხოლო ის მუხლები, რაც გამოწვევისა ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი ან საქართველოს ეკონომიური საბჭოს დადგენილებებისა, დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ან საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ.

მუხ. 338. სააქციო საზოგადოების წესდებაში შესატან ცვლილებას დამტკიცებს ის ორგანო, რომელსაც უნდა დაემტკიცებინა ეს წესდება იმ შემთხვევაშიც, უკეთეს განზრახული ცვლილება წესდებაში შეტანილი იქნებოდა.

შენიშვნა. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული წესდების ცვლილება დამტკიცდება იმავე წესით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. 49 №-რი).

მუხ. 339. წესდების დამტკიცებას 331 მუხლში აღნიშნული ორგანო აცნობებს დამფუძნებელთ, მისცემს მათ წესდების შემოწმებულ ასლს და წესდების დამტკიცების შესახებ მოახდენს პუბლიკაციას, დამფუძნებელთა ხარჯით, გაზ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნი“-ში და გაზ. „კომუნისტ“-ში.

მუხ. 340. უკეთეს სააქციო საზოგადოების წესდების დამტკიცების შემდეგ 334 მუხ. „დ“ პუნქტში აღნიშნულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა კუთვნილი აქციების პროცენტი 50% მიიღწევს ან გადასცილდება ამ

პროცენტს, საზოგადოება გადატანილ უნდა იქნეს სავაჭრო რეესტრის სათანადო განყოფილებაში და ასეთი სააქციო საზოგადოების წესდების შეცვლა უნდა მოხდეს იმ წესით, რაც ვათვალისწინებულა 338 მუხლში.

შენიშვნა. ამა მუხლის შეფარდების წესები განისაზღვრება საერთო საკავშირო კანონმდებლობით (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 49, „სააქციო საზოგადოებათა დებულება“, მუხ. 500, პუნქ. 19).

მუხ. 341. სააქციო საზოგადოების წესდება, რეგისტრაციის შემდეგ, გამოქვეყნდება ამ საზოგადოების ხარჯით საქართველოს სსრ მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის მეორე ნაწილში.

მუხ. 342 წესდების დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ (მუხ. 339) სააქციო საზოგადოების დამფუძნებელნი შეუდგებიან აქციების განაწილებას და საწესდებო კაპიტალის შეგროვებას, შესარულებენ სააქციო საზოგადოების ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ყველა მოქმედებას და დასდებენ ამ ორგანიზაციისათვის საჭირო ყველა გარიგებას.

მუხ. 343. დამფუძნებელთა მიერ საზოგადოებისათვის მის რეგისტრაციამდე დადებული გარიგება დაიდება ამ დამფუძნებელთა სახელით და მათი სოლიდარული პასუხისმგებლობით.

ასეთი გარიგებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი გადადის სააქციო საზოგადოებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს გარიგებას დაადასტურებს დამფუძნებელი კრება ან გარიგების დადების შემდეგ მოწვეული უახლოესი აქციონერთა საერთო კრება.

მუხ. 344. იმ ზარალისათვის, რაც მოუვა საზოგადოებას მისი ორგანიზაციის დროს დამფუძნებელთა დაუდევრობით და არა სწორი მოქმედებით, დამფუძნებელნი სოლიდარულად პასუხს აგებენ საზოგადოებისა და ცალკე აქციონერთა წინაშე. ერთი წლის განმავლობაში საზოგადოების რეგისტრაციიდან.

მუხ. 345. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელნი ვალდებულ არიან დაიტოვონ თავისთვის. ყველამ ერთად, აქციები თანხით არა ნაკლებ საწესდებო კაპიტალის ერთი მეხუთედისა, ხოლო აქციები თანხით საწესდებო კაპიტალის ერთი მეხუთედის ოდენა შეინარჩუნონ საზოგადოების მეორე საოპერაციო წლის ანგარიშის დამტკიცებამდე. ამავე ვადის განმავლობაში დამფუძნებელთა და აქციონერებს უფლება არა აქვთ გაასხვისონ ისეთი აქციები, რომელიც შესყიდულია არა ფულთი და სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით, არამედ სხვა რამეებით.

მუხ. 346. საზოგადოების აქციები ან მთლად განაწილება დამფუძნებელთა შორის, ან საზოგადოებაში მონაწილეთ ჩარეულ იქნებიან სხვა პირნიც (ხელის მომწერნი), რისთვისაც გამოცხადდება აქციებზე კერძო ან საჯარო ხელისმოწერა.

მუხ. 347. აქციებზე ხელის მოწერა გამოიხატება იმაში, რომ აქციებზე ხელისმომწერი ხელისმოწერის ფურცელზე იძლევა წერილობით ვალდებულებას, რომლითაც იგი კისრულობს აქციების შესყიდვას, თანაც აღნიშნავს შესყიდვის ვადას.

ხელისმომწერს ეძლევა სახელობითი ხელწერილი, სადაც აღინიშნება მის სახელზე ჩარიცხული აქციების რაოდენობა და რიგობრივი ნომრები.

ამავე ხელწერილზე, საზოგადოების წესდებაში გათვალისწინებული წესით, აღინიშნება—რამდენია გადახდილი აქციის შესასყიდად.

348. აქციებზე ხელისმოწერის ფურცელში და საჯარო ხელისმოწერის განცხადებაში (პროსპექტში), სხვა ცნობებთან ერთად, აუცილებლად უნდა აღინიშნოს:

- ა) წესდების დამტკიცების პუბლიკაციის თარიღი და ის ბეჭდვითი ორგანო, სადაც პუბლიკაცია დაიბეჭდა;
- ბ) საზოგადოების დამფუძნებელთა სია და მათი მისამართი;
- გ) საზოგადოების საფირმო სახელწოდება;
- დ) საზოგადოების შოქმედების საგანი;
- ე) საწესდებო კაპიტალის რაოდენობა;
- ვ) აქციების პირველდებული ფასი, მათი შესყიდვის წესი და ვადა;
- ზ) რამდენი აქცია დაიტოვეს დამფუძნებლებმა;
- თ) რა თანხა დაერიცხა აქციებს დამფუძნებლების მიერ საზოგადოების დასარსებლად გაწეული საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად, უკეთუ ასეთი დარიცხვა გათვალისწინებულია წესდებით;
- ი) დამფუძნებლების მიერ აქციების შესასყიდად შეტანილი ქონების შეფასება.

შენიშვნა 1. უკეთუ ამა თუ იმ დაწესებულებას ან პირს მიენიჭება განსაკუთრებული უპირატესობა სააქციო საზოგადოების დაარსებისა და ლიკვიდაციისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული პრივილეგია აქციებზე ყველა ეს უპირატესობა და პრივილეგია ცალკე უნდა აღინიშნოს აქციებზე ხელის მოწერის ფურცელში.

შენიშვნა 2. სახელმწიფო დაწესებულებისა და საწარმოს მიერ ხელისმოწერას აქციებზე მხოლოდ მაშინ აქვს ამ დაწესებულებისა და საწარმოსთვის სავალდებულო ძალა, უკეთუ დატულ იქნება 329 და 330 მ.

349. წესდების დამტკიცების გამოქვეყნების შემდეგ, არა უგვიანეს სამი თვისა, შეკრებილ უნდა იქნეს საწესდებო კაპიტალის ნაწილი—არა ნაკლებ ერთი მეოთხედისა; ამასთანავე ყოველმა დამფუძნებელმა და აქციებზე ხელისმომწერმა უნდა შეიტანოს აღნიშნულ ვადაზე არა ნაკლებ მის მიერ შესყიდული აქციების თანხის ერთი მეოთხედისა. საწესდებო კაპიტალი მთლად განაღდებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 12 თვისა; ხოლო, უკეთუ ყველა აქცია დამფუძნებელთა შორისაა განაწილებული, არა უგვიანეს 6 თვისა იმ დღიდან, როდესაც გამოქვეყნდა საზოგადოების წესდების დამტკიცება.

შენიშვნა. ისეთი სააქციო საზოგადოების წესდებით, რომელსაც მიზნად აქვს ოქროს და მისი თანამდევ ლითონისა და მინერალის ძებნა, კვლევა და ამოღება მთლად საწესდებო კაპიტალის განაღდების ვადა შეიძლება ვაგრძელებულ იქნეს 18 თვემდე, დღიდან წესდების დამტკიცების გამოქვეყნებისა.

350. აქციების შესყიდვის ვადა 349 მუხ. შესაფერისად განისაზღვრება ან საზოგადოების წესდებით, ან დამფუძნებელთა კრებისა ან და აქციონერთა საერთო კრების მიერ.

351. უკეთუ საწესდებო კაპიტალის პირველი ერთი მეოთხედი ვადაზე არ იქნა განაღდებული, საზოგადოება ჩაითვლება არაშემდგარად, ხოლო უკეთუ დადგენილ ვადაზე განაღდებულ არ იქნა მთლად საწესდებო კაპიტალი, უნდა მოხდეს საზოგადოების ლიკვიდაცია, და ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ საზოგადოების წესდების შეცვლის წესით საწესდებო კაპიტალი არ იქნა შესაფერისად შემცირებული ან უკეთუ მთლად მისი განაღდების ვადა გაგრძელებული არ იქნა.

352. საზოგადოების დამფუძნებელთ. ხოლო საზოგადოების ლიკვიდაციის შემდეგ—მის გამგეობას, უფლება აქვს გადაახდევინოს ხელისმომწერს ვადაზე გადაუხდელი აქციის სასყიდელი ან გააბათილოს ხელისმომწერა და გაჰყიდოს ის აქცია, რომელიც ვადაზე არ იქნება შესყიდული. ამ უკანასკნელ შემთხვევაში პირვანდელ ხელისმომწერს აქციის გაყიდვით აღებული ფულიდან დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი აქციის სასყიდელი იმ ხარჯის გამოკლებით, რაც კი დასჭირდა პირველი ხელისმომწერის გაბათილებას და აქციის გაყიდვას.

უკეთუ საზოგადოება არაშემდგარად იქნა ცნობილი, ხელისმომწერნი განთავისუფლდებიან აქციების სასყიდლის გადახდისაგან.

353. აქციები შეისყიდება პირველდებულ ფასად ფულით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდით ან სხვა ქონებით, რაც ისეთ მატერიალურ ფასეულობას ან უფლებას წარმოადგენს, რომელიც საჭიროა საზოგადოების ორგანიზაციისათვის ან შეადგენს მისი მოქმედების საგანს.

აქციების შესყიდვა, ფულის გარდა, სხვა რამ ქონებით შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით; ამასთანავე წესდებაში უნდა აღინიშნოს ხოლმე სახელდობრ საწესდებო კაპიტალის რა ნაწილი უნდა იქნეს, ყოველ შემთხვევაში, ფულად განაღდებული.

სააქციო საკრედიტო დაწესებულებაში ფულად განაღდებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ საწესდებო კაპიტალის სამი მეოთხედისა.

შენიშვნა. აქციების შესყიდვა შეიძლება, წესდებით გათვალისწინებულ ფარგლებში, აგრეთვე ქონებაზე სარგებლობის უფლების გადაცემით; მაგრამ, ამასთანავე, აქციების შესასყიდად შეიძლება მიღებულ იქნეს მხოლოდ ისეთი გადასახდელი (შემოსავალი), რაც ამ ქონებას შემოუვა ერთ წლისაზე და არა უმეტესი ხნის განმავლობაში, ხოლო უკეთუ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მთლად განაღდებისათვის უფრო დიდი ვადაა დაწესებული—ისეთი გადასახდელი, რაც შემოვა ამ ვადის განმავლობაში.

354. აქციების შესასყიდად შესატანი ფული საზოგადოების რეგისტრაციამდე ხელისმომწერმა უნდა შეიტანოს დამფუძნებელთა სახელზე წესდებაში აღნიშნულ საკრედიტო დაწესებულებაში, ხოლო უკეთუ ასეთი დაწესებულება წესდებაში არ არის აღნიშნული—სსრკ-ის სახელმწიფო ბანკში, და ეს ფული გადაეცემა საზოგადოებას მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც იგი შეტანილ იქნება სავაჭრო რეესტრში; ამასთანავე, უკეთუ საზოგადოება შემდგარად არ იქნა ცნობილი, აღნიშნული ფული დაებრუნება ხელისმომწერთ კუთვნილებისამებრ თავისი სარგებლით.

355. აქციების შესასყიდად საზოგადოების რეგისტრაციამდე შეტანილი ქონება, რაც მატერიალურ ფასეულობას წარმოადგენს, გადაეცემა დამფუძნებელთ. დამფუძნებელნი ვალდებულ არიან მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ამ ქონების ფასეულობა დაცულ იქნეს.

356. აქციების შესასყიდად შესატანი უფლებების გადაცემა (353 მუხ.) შეიძლება მხოლოდ საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ.

357. აქციების შესასყიდად შესატანი მატერიალური ფასეულობის პირვანდელი შეფასება, უკეთეს ფასეულობა შეტანილია საზოგადოების რეგისტრაციამდე. — მოხდება ამ ფასეულობის შემტანის შეთანხმებით დამფუძნებლებთან, ხოლო საზოგადოების რეგისტრაციის შემდეგ — გამგეობასთან.

აღნიშნული ქონების საბოლოო შეფასება მოხდება ამ ქონების შემტანის შეთანხმებით დაფუძნებითი კრებასთან (361 და 362 მუხ.) ან აქციონერთა საერთო კრებასთან, უკეთეს ეს წესდებითაა გათვალისწინებული, საზოგადოების საბჭოსთან. ხოლო, ამასთანავე, ეს შეფასება არ უნდა აღემატებოდეს შეტანილი ქონების იმ საშუალო საბირჟო ან საბაზრო ფასს, რაც იყო ამ ქონების ჩაბარების აღგილას და დღეს. როდესაც ქონება შეტანილია საზოგადოების შემდგარად ცნობამდე, ქონების ჩაბარების დღედ, უკეთეს მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ჩათვლება საზოგადოების შემდგარად ცნობის დღე. უკეთეს საბირჟო ან საბაზრო ფასის გამორკვევა შეუძლებელია, შეფასება მოხდება მცოდნე პირთა მონაწილეობით.

358. აქციების შესასყიდად გადაცემული უფლების შეფასება მოხდება 357 მუხლში აღნიშნული წესით.

359. ამიერკავ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულს საქართველოს სსრ-ში უფლება აქვს სააქციო საზოგადოების ძირითადი რეგისტრაციის დროს, აგრეთვე მიმდინარე რეგისტრაციის წესით იმ ცნობების შეტანის დროსაც, რაც საწესდებო კაპიტალის შეკრევილ ნაწილში მოიხდარ ცვლილებას შეეხება, შეამოწმოს — ნამდვილად რა ქონებაა შემოსული აქციების შესასყიდად და რამდენად სწორედაა ეს ქონება შეფასებული.

ფინანსთა სახ. კომისარიატს უფლება აქვს შეამოწმოს — რამდენად სწორედაა შეფასებული სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ აქციების შესასყიდად შეტანილი ქონება.

360. ყველა აქციის განაწილებისა და საწესდებო კაპიტალის ერთი მეოთხედის განაღდების შემდეგ, არა უგვიანეს ერთი თვისა ამ განაღდების დღიდან, დამფუძნებელნი მოიწვევენ დამფუძნებელთა და აქციებზე ხელისმომწერთა წინასწარ კრებას. ამ კრებას დამფუძნებელნი წარუდგენენ წერილობითი მოხსენებას საზოგადოების აქციების განაწილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რა თანხა და ქონება შემოვიდა აქციების შესასყიდად, რა ხარჯია გაწეული და რა ღონისძიებაა მიღებული დამფუძნებელთა მიერ საზოგადოების დასაარსებლად, რა მოქმედებაა შესრულებული საზოგადოებისათვის და რა გარიგებაა დადებული, რა მოქმედების შესრულება და რა გარიგებათა დადებაა განზრახული, და, საერთოდ, ყველა იმ გარემოების შესახებ, რითაც შეიძლება კრებამ გაიგოს — რამდგომარეობაა საზოგადოების საქმე. მოხსენებასთან ერთად დამფუძნებელნი

წარუდგენენ კრებას საზოგადოების ქონების საინვენტარო აღწერილობას და მის შემავალი ბალანსის პროექტს.

დამფუძნებელთა მოხსენებისა, საინვენტარო აღწერილობისა და შემავალი ბალანსის პროექტის შესამოწმებლად კრება აირჩევს თავის წრიდან შემოწმებელ კომისიას. ამასთანავე, საზოგადოების დამფუძნებელთა არჩევა შემოწმებელ კომისიაში არ შეიძლება.

361. დამფუძნებელთა და აქციებზე ხელისმომწერთა წინასწარი კრების შემდეგ, არა უადრეს სამი დღისა და არა უგვიანეს ერთი თვისა, დამფუძნებელნი მოიწვევენ დაფუძნებითი კრებას, რომელიც მოისმენს შემოწმებელი კომისიის მოხსენებას და გადასწყვეტს ყველა იმ საკითხს, რაც შეეხება საზოგადოების შემდგარად ცნობისა, დამფუძნებელთა მიერ შესრულებული მოქმედებისა და დადებული გარიგების დადასტურებისა, აქციების შესასყიდად შემოსული ქონების შეფასებისა, საინვენტარო აღწერილობისა და შემავალი ბალანსის პროექტის დამტკიცებისა, გამგეობის წევრებისა და საზოგადოების სხვა არჩევითი თანამდებობაზე ამა თუ იმ პირის არჩევის საკითხებს და აგრეთვე ყველა სხვა საკითხს რომელიც გამოწვეული იქნება დამფუძნებელთა მოხსენებით ან შეეხება საზოგადოების მიმდინარე საქმეებს.

362. უკეთუ მთლად საზოგადოების აქციები დამფუძნებელთა შორისაა განაწილებული და განალდებულია საწესდებო კაპიტალის ერთ მეოთხედ ნაწილზე არა ნაკლები, 360 და 361 მუხ. აღნიშნული კრებების ნაცვლად, შეიკრიბება დამფუძნებელთა დაფუძნებითი კრება, რომელიც გადასწყვეტს 361 მუხ. გათვალისწინებულ ყველა საკითხს.

363. 360—362 მუხ. აღნიშნული კრებების მოწვევის წესი განისაზღვრება საზოგადოების წესდებაში. სააქციო საზოგადოების დამფუძნებელნი ვალდებულ არიან წინასწარი ან დაფუძნებითი კრების მოწვევა შეიდი დღით ადრე აცნობონ იმ სავაჭრო რეგისტრაციის ორგანოს, რომელშიც ეს საზოგადოება რეგისტრაციაში უნდა გაატაროს.

364. 360—362 მუხ. აღნიშნული კრებები შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ ამ კრებების მონაწილე პირთა ერთობლივ ექნებათ აქციების საერთო რიცხვის ნახევარზე არა ნაკლები.

დადგენილება საზოგადოების შემდგარად ცნობის შესახებ მიღებულ უნდა იქნეს კრების მონაწილეთა ხმების საერთო რიცხვის სამი მეოთხედის უმეტესობით. ყველა სხვა საკითხი ამ კრებებზე გადასწყდება ხმების უბრალო მარტივი უმეტესობით.

365. უკეთუ დაფუძნებითი კრება (361 და 362 მუხ.) საზოგადოებას შემდგარად სცნობს, კრების მიერ არჩეული გამგეობა მოვალეა დაუყონებლივ შეიტანოს ამიერკავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამართველოში (საქართველოს სსრ-ში) განცხადება საზოგადოების რეგისტრაციის შესახებ.

გამგეობას სააქციო საზოგადოების სახელით მოქმედება და გარიგებათა დადება შეუძლიან მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საზოგადოება შეტანილ იქნება სავაჭრო რეგისტრში.

III. ა ქ ც ი ე ბ ი.

366. აქციის პირველდებული ფასი არ შეიძლება 100 მანეთზე ნაკლები იყოს, უკეთეს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით სააქციო საზოგადოებათა ცალკე კატეგორიებისათვის განსაზღვრული არ არის ას მანეთზე ნაკლები მინიმალური პირველდებული ფასი აქციისა.

შენიშვნა 1. საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოს უფლება აქვს, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მომქმედი კანონმდებლობის გამოწვევით, ნებადართოს ცალკე სააქციო საზოგადოებას აქციების პირველდებულ ფასად დააწესოს 100 მანეთზე ნაკლები.

შენიშვნა 2. იმ საზოგადოების აქციების პირველდებული ფასი, რომლის მიზანია ოკროს და მისი თანამდგე ლითონისა და მინერალის ძებნა, კვლევა და ამოღება, არ შეიძლება 25 მანეთზე ნაკლები იყოს.

366¹. აქცია შეიძლება მხოლოდ სახელობითი იყოს.

366². თვითეთლი აქცია, უკეთეს წესდებით სხვა რომ არ არის დადგენილი, აძლევს აქციონერს უფლებას, აქციაზე ხელისმოწერის შემდეგ, ყოველი სხვა აქციის პატრონის თანასწორ, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების საქმეების გადაწყვეტაში, დაიკიროს საზოგადოებაში არჩევითი თანამდებობა, მიიღოს დივიდენდი საზოგადოების ოპერაციების წმინდა მოგებიდან და აგრეთვე საზოგადოების ქონების სათანადო ნაწილი საზოგადოების ლიკვიდაციის დროს.

ამა მუხლში აღნიშნულ უფლებათა განხორციელების პირობები და საშუალება განისაზღვრება ამა წესებით სააქციო საზოგადოებათა შესახებ და საზოგადოების წესდებით.

366³. აქციების დაწილადება არ შეიძლება.

უკეთეს აქცია რამდენსამე პირს ეკუთვნის, უფლება საზოგადოების მიმართ შეუძლიან განახორციელოს მხოლოდ ერთ პირს, რომელიც საამისოდ უფლებამოსილი იქნება აქციების თანამფლობელთა მიერ.

უკეთეს აქცია იურიდიულ პირს ეკუთვნის, აქციონერთა პირად უფლებებს, რაც კი ამ აქციიდან გამომდინარეობს, განახორციელებს აღნიშნული იურიდიული პირის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.

ამა მუხლში აღნიშნული უფლებამოსილობა შეიძლება გაცემულ იქნეს განცხადების საბით საზოგადოების გამგეობის სახელზე.

შენიშვნა. უკეთეს წარმომადგენელი დაპკარავს იმ იურიდიული პირის უფლებამოსილობას, რომლის წარმომადგენელიც ის არის, იგი გამოდის საზოგადოების სათანადო არჩევითი ორგანოს შედგენილობიდან.

366⁴. აქციონერს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდი წმინდა მოგების იმ ნაწილიდან, რაც დარჩება წმინდა მოგებიდან კანონით ან წესდებით ან დასაერთო კრების დადგენილებით დაწესებული ანარიცხების გამოკლების შემდეგ. დივიდენდის გაცემა იმ აქციებზე, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებას ან საწარმოს ეკუთვნის, მოხდება განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესისამებრ.

შენიშვნა. საზოგადოების ლიკვიდაციის დროს აქციონერი მოვალე არ არის დააბრუნოს სალიკვიდაციო მასაში სწორედ შედგენილი და სათანადო წესით დამტკიცებული ბალანსის თანახმად მის მიერ მიღებული დივიდენდი.

366⁵. სააქციო საზოგადოება მოვალეა აწარმოოს სააქციო დავთარი.

შენიშვნა. სააქციო დავთარის ფორმასა და წარმოების წესს განსაზღვრას სსრკ-ის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი.

366⁶. აქციის გადაცემა ერთი პირისაგან მეორისათვის მოხდება თვით აქციონერის მიერ ან მისი განცხადებით. საზოგადოების გამგეობის მიერ აქციაზე (სააქციო მოწმობაზე) წარწერის გაკეთებით. აქციის გადაცემას გამგეობა აღნიშნავს სააქციო დავთარში. აქციის გადასვლის მომენტად ითვლება მისი გადაცემის აღნიშვნის მომენტი სააქციო დავთარში, უკეთუ საზოგადოების წესდებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

აქციის გადაცემა 366¹² მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოხდება სააქციო დავთარში აღნიშვნით აქციონერის წერილობითი განცხადებისაშებრ.

საზოგადოების გამგეობის ან სხვა ორგანოს თანხმობა აქციის გადაცემისათვის საჭიროა მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ეს გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით.

აქციის გადასვლა სხვა რამ საფუძვლით, გარდა გადაცემისა, აღნიშნება სააქციო დავთარში ასეთი გადასვლის დამადასტურებელი დოკუმენტების მიხედვით. გადასვლის მომენტად ითვლება ხსენებულ დოკუმენტებში აღნიშნული მომენტი. ასეთ შემთხვევაში გამგეობა აქციაზე (სააქციო მოწმობაზე) სათანადო წარწერას გააკეთებს.

366⁷. სააქციო საზოგადოებას უფლება არა აქვს იყიდოს თავისი ხარჯით თავისივე აქცია ან დროებითი მოწმობა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც აქციების შეძენის მიზანია იმ ზარალის თავიდან აცილება, რაც შეიძლება მოუვიდეს თავის მოვალეთაგან ვალის გადახდევინების დროს, ან აქციების დაფარვა. ეს წესი სათანადოდ შეეფარდება საზოგადოების მიერ თავისი აქციების გირაოდ მიღებასაც.

366⁸. საერთო სახელმწიფო ან ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანოს თავისი კუთვნილი აქციების გასხვისება და დაგირაოება შეუძლიან მხოლოდ სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან ან ადგილობრივ საფინანსო ორგანოსთან შეთანხმებით—კუთვნილებისაშებრ.

366⁹. თვითეულ აქციას (სააქციო მოწმობას), უკეთუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, დაერთვის საკუპონო ფურცელი ამ კუპონებით დივიდენდის მისაღებად წესდებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ხოლო არა უმეტეს 10 წლისა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ თვითეულ აქციას (სააქციო მოწმობას) დაერთვის ახალი საკუპონო ფურცელი.

366¹⁰. აქციებსა (სააქციო მოწმობებს) და საკუპონო ფურცლებს ამზადებს სახელმწიფო ნიშნების დამამზადებელი სამმართველო.

შენიშვნა 1. აქციისა (სააქციო მოწმობის) და საკუპონო ფურცლის ფორმას ამტკიცებს სსრ კავშირის შინა და საგარეო ვაჭრობის სახალხო

კომისარიატი, სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით.

შენიშვნა 2. საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ათაქციანი ან ათ-ჯერადი რაოდენობის აქციანი კუპონურის დამზადება. 366¹¹. უკეთეს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულია ისეთი აქციები, რაც ამ აქციების პატრონთ სხვა და სხვა უფლება-მოვალეობას აკუთვნებს (სხვა და სხვა კატეგორიის აქციები), ასეთი კატეგორიების თვითუფლები აქციის (სააქციო მოწმობას) უნდა დაერთოს სათანადო განმარტება.

366¹². აქციების (სააქციო მოწმობების) და აგრეთვე საკუპონო ფურცლების დამზადება სააქციო საზოგადოებისათვის არ არის სავალდებულო, უკეთეს ეს გათვალისწინებულია წესდებით.

366¹³. აქციების (სააქციო მოწმობების) დამზადებაზე სააქციო საზოგადოებას შეუძლიან გასცენ დროებითი სახელობითი სააქციო მოწმობები. დროებითი მოწმობების გადაცემა მოხდება იმავე წესით, რაც დადგენილია აქციების გადაცემისათვის.

366¹⁴. აქციებისა (სააქციო მოწმობა) და დროებითი მოწმობების (366¹³) გადაცემა არ შეიძლება სააქციო საზოგადოების რეგისტრაციამდე.

366¹⁵. უკეთეს აქციონერმა ან მისმა კანონიერმა უფლების მონაცვლემ დაჰკარგა აქცია (სააქციო მოწმობა), მას შეუძლიან ეს გარამოეხება განუცხადოს საზოგადოების გამგეობას. გამგეობა მოახდენს პუბლიკაციას აქციის დაკარგვის შესახებ, და, ექვსი თვის შემდეგ დღიდან პუბლიკაციისა, დაკარგული აქციის (სააქციო მოწმობის) ნაკვალად გასცემს დუბლიკატს იმავე ნომრით, უკეთეს არაფინ აღძრავს დავას სასამართლო წესით.

IV. საზოგადოების კაპიტალები და ანგარიშგება.

366¹⁶. სააქციო საზოგადოება შეადგენს: საწესდებო, სარეზერვო, საამორტიზაციო, აგრეთვე სხვა სპეციალურ კაპიტალებს, უკეთეს ეს უკანასკნელი კაპიტალები გათვალისწინებულია კანონით ან საზოგადოების წესდებით.

366¹⁷. სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი არ შეიძლება 100.000 მანეთზე ნაკლები იყოს.

შენიშვნა. იმ სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი, რომელსაც მიზნად აქვს ოქროს და მისი თანამდევი ლითონისა და მინერალის ძებნა, კვლევა და ამოღება, შეიძლება 100.000 მანეთზე ნაკლები იყოს, ხოლო არა ნაკლებ 50.000 მანეთისა.

366¹⁸. სააქციო საზოგადოების წესდებაში თავდაპირველად გათვალისწინებული საწესდებო კაპიტალი შეიძლება გადიდებულ ან შემცირებულ იქნეს საზოგადოების საერთო კრების დადგენილებით, წესდების შეცვლის წესისამებრ; ამასთანავე, უნდა აღინიშნოს დამატებით გამოშვებული აქციების სრულად შესყიდვის ვადა. ეს ვადა არ შეიძლება ერთ წელზე მეტი იყოს.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გადიდება მოხდება დამატებითი აქციების გამოშვებით, პირველად გამოშვებული აქციების პირველდებულ ფასად.

აქციების დამატებით გამოშვება არ შეიძლება იქამდე, ვიდრე წინად გამოშვებული აქციები სრულად არ იქნება შესყიდული.

366¹⁹. დამატებით გამოშვებული აქციების შესყიდვა მოხდება 353, 357 და 358 მუხ. დაცვით პირველდებულ ფასად; ამასთანავე თვითეულ აქციას დაემატება საზოგადოების სარეზერვო და სპეციალური კაპიტალების იმ წილის შესაფერისი თანხა, რაც თვითეულ პირველად გამოშვებულ აქციაზე მოდის.

ის თანხა, რაც შესდგება აღნიშნული დანარიცხებისაგან დამატებითი აქციების შესყიდვის დროს, მიქცეულ უნდა იქნეს სათანადოდ სარეზერვო და სპეციალურ კაპიტალებში.

366²⁰. უკეთუ დამატებით გამოშვებული აქციები სრულად არ იქნა შესყიდული დაწესებული ვადის განმავლობაში (მუხლი 366¹⁸;) ეს გამოშვება ჩაითვლება არა შემდგარად და წესდებაში შეტანილი პუნქტი დამატებითი გამოშვების შესახებ ჰკარგავს ძალას, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც, წესდების შეცვლის წესისამებრ, სათანადოდ იქნება შემცირებული დამატებით გამოშვებული აქციების რაოდენობა ან და განგრძობილ იქნება მათი შესყიდვის ვადა. უკეთუ დამატებითი გამოშვება არ შესდგა, გამოშვებული აქციების შესასყიდლად შეტანილი თანხა დაებრუნება ხელის მომწერთ ერთი თვის განმავლობაში პროცენტებით, სსრკ სახემწიფო ბანკის სადისკონტო პროცენტის რაოდენობით დღიდან თანხის შეტანისა დაბრუნების დღემდე.

366²¹. საზოგადოების სარეზერვო კაპიტალის შესადგენად წმინდა მოგებიდან გადაირიცხება ყოველწლიურად არა ნაკლებ 10⁰/₆-სა, ვიდრე ამ რიგად შემდგარი კაპიტალი არ მიალწვევს საწესდებო კაპიტალის ნახევარ რაოდენობას. სარეზერვო კაპიტალი მოხმარდება საზოგადოების ოპერაციებით გამოწვეული გადახდის დაფარვას, რაც გამორკვეული იქნება მისი წლიური ბალანსით. სარეზერვო კაპიტალი ინახება განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესისამებრ.

უკეთუ სარეზერვო კაპიტალი, მას შემდეგ, რაც იგი მიალწვევს საწესდებო კაპიტალის ნახევარს, სრულად ან ნაწილობრივ დახარჯულ იქნა ზარალის დაფარვაზე, განახლებულ უნდა იქნეს ამ კაპიტალში მისაქცევი ანარიცხები, ვიდრე იგი არ მიალწვევს სათანადო რაოდენობას.

სარეზერვო კაპიტალისა და მის შესადგენად დაწესებული ანარიცხების რაოდენობა, აგრეთვე ამ კაპიტალის ხარჯვის წესი განისაზღვრება წესდებით.

366²². სააქციო საზოგადოებაში ყოველწლიურად მოხდება საზოგადოების ქონების ამორტიზაცია; ამ ქონებას შეადგენს: შენობები, მოწყობილობა, ინსტრუმენტები, ინვენტარი, ნაგებობანი, მისაღვლეი გზები, ნაეჭურქლები და სხვა; ამორტიზაცია მოხდება აღნიშნული ქონების ღირებულებიდან (ინვენტარში ჩარიცხვის დროს წარმოებულ შეფასების მიხედვით) საამორტიზაციო კაპიტალში განსაზღვრული პროცენტების გადაირიცხვით.

საამორტიზაციო კაპიტალის შედგენისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება წესდებით და აქციონერთა საერთო კრების მიერ მომქმედ კანონებთან შეთანხმებით.

366²³. საზოგადოების სხვა სპეციალური კაპიტალი შესდგება სააქციო საზოგადოების წესდებაში გათვალისწინებული გზით.

366²⁴. საზოგადოების ოპერაციების წლიურ ანგარიშს და ბალანს შეადგენს გამგეობა, არა უგვიანეს სამი თვისა საოპერაციო წლის დამთავრების შემდეგ, და, სარევიზიო კომისიის დასკვნასთან ერთად, წარუდგენს დასამტკიცებლად აქციონერთა საერთო კრებას, რომელიც მოწვეულ უნდა იქნეს არა უგვიანეს ერთი თვისა ანგარიშის შედგენის ვადის გასვლის შემდეგ.

ანგარიშისა და ბალანსის შედგენის ვადის გადადება შეიძლება საჯარო ანგარიშგების წესებით გათვალისწინებული წესისამებრ. საერთო კრების მიერ დამტკიცებული ბალანსი და მოგება—ზარალის ანგარიში გამოქვეყნებულ უნდა იქნეს საჯარო ანგარიშგების წესების თანახმად.

366²⁵. სააქციო საზოგადოების საოპერაციო წელიწადი დაწყებულია ოქტომბრის 1-დან სექტემბრის 30-მდე, უკეთუ წესდებით სხვა საოპერაციო პერიოდი არ არის გათვალისწინებული.

შენიშვნა. უკეთუ საზოგადოება დაარსდა მარტის 31-მდე პირველ საოპერაციო პერიოდად ჩათვლება პერიოდი იმავე წლის სექტემბრის 30-მდე ამრიცხვითურთ, ხოლო უკეთუ საზოგადოება დაარსდა მარტის 31-ის შემდეგ, პირველ საოპერაციო პერიოდად ითვლება პერიოდი შემდეგი წლის სექტემბრის 30-მდე,—ამ რიცხვითურთ.

V. სააქციო საზოგადოების ორგანოები.

366²⁶. სააქციო საზოგადოების მმართველობის ორგანოები არიან:

- ა) აქციონერთა საერთო კრება;
- ბ) საზოგადოების გამგეობა ან ერთპიროვანი დირექტორი;
- გ) საბჭო, უკეთუ მისი დაარსება გათვალისწინებულია საზოგადოების წესდებით.

სარევიზიო ორგანოდ არის სარევიზიო კომისია.

366²⁷. ის პირი, რომელიც შედის სააქციო საზოგადოების ამორჩეულ ორგანოში, ვალდებულია მიიღოს ყოველგვარი ღონისძიება საზოგადოების წესდებაში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად და გამოიჩინოს საჭირო მზრუნველობა და წინდახედულობა.

საზოგადოების ამორჩეული პირების მიერ, მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შესრულებასთან დაკავშირებით, გამოჩენილი დაუდევრობითა და უკანონო მოქმედებით მიყენებული ზარალისათვის ისინი პასუხს აგებენ საზოგადოებასა და ცალკე აქციონერთა წინაშე, ხოლო უკეთუ საზოგადოება არაშემქლეა—მისი კრედიტორების წინაშეც; ამასთანავე იმ ზარალისათვის, რაც მიყენებულია აღნიშნული ამორჩეული პირების მიერ ერთად, ისინი პასუხს აგებენ სოლიდარულად.

366²⁸. გასამრჯელოს საზოგადოების ამორჩეულ ორგანოთა წევრებისათვის განსაზღვრავს აქციონერთა კრება საზოგადოების წესდების თანახმად.

ა. აქციონერთა საერთო კრება.

366²⁹. სააქციო საზოგადოების უმაღლესი ორგანო არის აქციონერთა საერთო კრება.

საერთო კრების უფლებებს განსაზღვრავს საზოგადოების წესდება, ხოლო ყოველ შემთხვევაში, მის გამგებლობის საგანს შეადგენს: ა) გამგეობის თავჯდომარისა და წევრების (ხოლო სათანადო შემთხვევაში ერთპიროვანი დირექტორის) ამორჩევა, აგრეთვე საბჭოს თავჯდომარისა და წევრებისა, უკეთუ წესდებით გათვალისწინებულია საბჭოს დაარსება, და სარევიზიო კომისიისა და ყველა ამათთვის გასამრჯელოს დანიშვნა; ბ) წესდების შეცვლისა და შეესების საკითხის განხილვა; გ) გამგეობისა, საბჭოსი და სარევიზიო კომისიისათვის მისაცემი ინსტრუქციების განხილვა და დამტკიცება; დ) წლიური ანგარიშისა, ბალანსისა, გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისა და მომავალი წლის საფინანსო საოპერაციო გეგმის დამტკიცება, მოგების განაწილება და ზარალის დაფარვის საშუალებათა გამოკვევა; ე) საზოგადოების მოქმედების მოსპობის საკითხის გადაწყვეტა.

366³⁰. საერთო კრება არის ჩვეულებრივი და საგანგებო. ჩვეულებრივ საერთო კრებას გამგეობა მოიწვევს წელწადში ერთჯერ მაინც წარსული საოპერაციო პერიოდის ანგარიშისა და ბალანსის განსახილველად და დასამტკიცებლად, მომავალი წლის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისა და საფინანსო საოპერაციო გეგმის განსახილველად და დასამტკიცებლად, მოგების გასანაწილებლად და ზარალის დაფარვის საშუალებათა გამოსარკვევად და აგრეთვე, სათანადო შემთხვევაში, საზოგადოების მმართველობისა და სარევიზიო ორგანოების ამოსარჩევად. ჩვეულებრივ საერთო კრებას შეუძლიან განიხილოს სხვა საკითხებიც, რაც კანონით ან წესდებით საერთო კრების კომპეტენციას შეადგენს. ჩვეულებრივი საერთო კრების მოწვევის ვადა განისაზღვრება წესდებით მომქმედი კანონების თანახმად.

366³¹. საგანგებო საერთო კრებას გამგეობა მოიწვევს თავისი შეხედულებისამებრ, ან საბჭოს, ან სარევიზიო კომისიის წინადადებით, ან და იმდენ აქციონერთა განცხადებით, რომელთა წილიც ძირითად კაპიტალში ერთობლივ ამ კაპიტალის ერთ მეოცედზე ნაკლები არ იქნება. საგანგებო კრება მოიწვევა სასწრაფო საკითხების გადასაწყვეტად, რაც საზოგადოების საქმეთა მსვლელობის მიხედვით აღიძვრის.

უკეთუ გამგეობა არ შეასრულებს საბჭოს ან სარევიზიო კომისიის მოთხოვნას საგანგებო კრების განმავლობაში დღიდან ამ მოთხოვნის შესვლისა, აღნიშნული კრება შეიძლება მოიწვიოს საზოგადოების საბჭომ ან სარევიზიო კომისიამ უშუალოდ.

უკეთუ გამგეობა არ შეასრულებს აქციონერთა ერთი მეოცედის მოთხოვნას აღნიშნული ვადის განმავლობაში, ნებართვა საგანგებო კრების მოწვევისათვის შეიძლება გასცეს იმ სავაჭრო რეგისტრაციის ორგანომ, რომლის რეგისტრაცია შეტანილია სააქციო საზოგადოება, ან და, უკეთუ საზოგადოების გამგეობა იმყოფება იმ ადგილის ფარგლების გარეშე, სადაც ზემოაღნიშნული ორგანო არის, — ნებართვას გასცემს იმ ადგილის სავაჭრო რეგისტრაციის ორგანო, სადაც საზოგადოების გამგეობა იმყოფება. ამ შემთხვევაში საგანგებო კრებას მოიწვევენ ის აქციონერები, რომელთაც მიიღეს სათანადო ნებართვა.

366³². საერთო კრება მოიწვევა სათანადო განცხადების გამოქვეყნებით წესდებით გათვალისწინებულ ბექდვითი ორგანოში, არა უგვიანეს ორი კვირისა საერთო კრებამდე.

განცხადებაში აღინიშნება საერთო კრების მოწვევის დრო, ადგილი და განსახილველი საკითხები, უკეთეს აქციონერთა საგანგებო კრებას იწვევენ აქციონერები 366³¹ მუხლში ხსენებულ ორგანოთა ნებართვით, ეს გარემოება უნდა აუცილებლად აღინიშნოს კრების მოწვევის შესახებ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

366³². საერთო კრებაზე არ შეიძლება დადგენილ იქნეს გადაწყვეტილება ისეთი საკითხის გამო, რაც აღნიშნული არა ყოფილა განცხადებაში კრების მოწვევის შესახებ, უკეთეს იგი არ წარმოადგენს საზოგადოების მიმდინარე საქმეს. ხოლო ჩაითვალოს თუ არა ესა თუ ის საკითხი მიმდინარე საქმედ—ამას გადასწყვეტს საერთო კრება, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ასეთი საქმედ არ შეიძლება ჩაითვალოს 366²⁹ მუხლში აღნიშნული საკითხები.

366³⁴. საერთო კრების კანონიერ კრებად ჩათვლისათვის საჭიროა, რომ ამ კრებაზე ყოველი განხილული საკითხის გადაწყვეტას დაესწროს იმდენი აქციონერი, რომელნიც ერთობილად წარმოადგენენ საწესდებო კაპიტალის ერთ მესამედზე არა ნაკლებს, უკეთეს წესდებით საამისოდ უფრო მაღალი ნორმა არ არის გათვალისწინებული.

366³⁵. საერთო კრებაზე მიღებულად ჩაითვლება ისეთი გადაწყვეტილება, რაც მიღებულ იქნა აქციონერთა ხმის მარტივი უმეტესობით.

ხმის მიცემის წესი განისაზღვრება წესდებით ან საერთო კრების მიერ.

366³⁶. საკითხი წესდების შეცვლისა ან საზოგადოების მოქმედების მოსპობის შესახებ შეიძლება გადასწყდეს მხოლოდ მიცემულ ხმათა ორი მესამედის უმეტესობით, უკეთეს ამასთანავე, საერთო კრებაზე გამოცხადებული აქციონერები წარმოადგენენ ნახევარ საწესდებო კაპიტალზე არა ნაკლებს.

366³⁷. განცხადებაში საერთო კრების მოწვევის შესახებ შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საერთო კრების მეორედ მოწვევა იმ შემთხვევისთვის, უკეთეს პირველ კრებაზე გამოცხადებული აქციონერები არ წარმოადგენენ ძირითადი კაპიტალის კანონით მოთხოვნილ ნაწილს. ასეთ შემთხვევაში საერთო კრება შეიძლება მეორედ მოწვეულ იქნეს არა უადრეს 24 საათისა პირველი არა შემდგარი კრების შემდეგ. უკეთეს ეს გარემოება არ იყო გათვალისწინებული განცხადებაში, საერთო კრება მეორედ მოიწვევა 366³² მუხლის თანახმად.

მეორედ მოწვეული კრება შემდგარად ჩაითვლება იმისდა მიუხედავად, თუ საწესდებო კაპიტალის რა ნაწილია ამ კრებაზე წარმოდგენილი. ასეთ კრებაზე ყველა საკითხი გადასწყდება აქციონერთა მიერ მიცემულ ხმათა მარტივი უმეტესობით, გარდა 366³⁶ მუხლში აღნიშნულ საკითხებისა, რომელთა გადასაწყვეტად, ყოველ შემთხვევაში, საჭიროა ხმათა ორი მესამედის უმეტესობა.

მეორედ მოწვეულ კრებას შეუძლიან გადასწყვიტოს მხოლოდ ის საკითხი, რაც შეტანილი იყო პირველი კრების დღის წესრიგში.

366³⁸. საერთო კრების ისეთი დადგენილების გამო, რაც დაარღვევს აქციონერის უფლებას, ამ უკანასკნელს შეუძლიან აღძრას დავა, ერთი თვის განმავლობაში დღიდან დადგენილების მიღებისა, საზოგადოების წინააღმდეგ სარჩელის წარდგენით აღნიშნული დადგენილების გაუქმების შესახებ.

ბ. გამგეობა.

366³⁹. საზოგადოების გამგეობას აარჩევს საერთო კრება წესდებაში განსაზღვრული ვადით, რაც არ უნდა აღემატებოდეს სამ წელს. გამგეობის წევრთა რიცხვი განისაზღვრება წესდებით და არ შეიძლება სამზე ნაკლები იყოს. იმავე ვადით აირჩევიან გამგეობის წევრთა კანდიდატები რიცხვით ერთიდან სამამდე. აქციონერთა საერთო კრებას შეუძლიან გადააყენოს გამგეობის წევრი და კანდიდატი არჩევის ვადის გასვლამდეც.

366⁴⁰. გამგეობის წევრად და კანდიდატად შეიძლება იყოს როგორც აქციონერი, ისე სხვა პირიც.

გამგეობის წევრს შეუძლიან აწარმოოს თავისი სახელით ან თავისი ხარჯით საზოგადოების მოქმედების თანაბარი სავაქრო-სამრეწველო საქმე, მხოლოდ ამისათვის საჭიროა საერთო კრების ნებართვა.

366⁴¹. გამგეობა განაგებს საზოგადოების ყველა საქმეს და ქონებას, მისი სახელით სდებს ყოველგვარ ისეთ გარიგებას და ეწევა ისეთ ოპერაციებს, რაც კი შეადგენს მისი გამგებლობის საგანს და, საერთოდ, არის საზოგადოების წარმომადგენელი როგორც სასამართლოში, ისე ყველა სხვა დაწესებულებისა და პირის წინაშე. გამგეობის მოვალეობა და უფლებამოსილება ზედმიწევნით განისაზღვრება საზოგადოების წესდებით.

366⁴². რათა გამგეობის გადაწყვეტილებას ძალა ჰქონდეს, საჭიროა კრებას დაესწროს გამგეობის წევრთა უმეტესობა, თავმჯდომარისა ან მისი მოადგილის ჩათვლით.

გამგეობის გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმის მარტივი უმეტესობით. ვინცობაა ხმები თანასწორად გაიყოს, თავმჯდომარის ხმა გადასძლევს, უკეთეს წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

366⁴³. გამგეობის სხდომისათვის შედგენილ იქნება ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს კრების თავმჯდომარე და გამგეობის ყველა დამსწრე წევრი.

366⁴⁴. გამგეობის წევრთა შორის მოვალეობათა განაწილება მოხდება გამგეობის დადგენილებით.

366⁴⁵. საზოგადოების საქმეთა უშუალო გამგებლობისათვის შეიძლება დინიშნოს, წესდებით გათვალისწინებული წესისამებრ, დირექტორი განმკარგულებელი, რომელიც იმოქმედებს გამგეობის რწმუნებულობის თანახმად. დირექტორ-განმკარგულებლად შეიძლება იყოს არა გამგეობის წევრიც.

366⁴⁶. გამგეობის ნაცვლად შეიძლება წესდებით გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოების ერთპიროვანი დირექტორის თანამდებობა (366²⁶ მუხლის „ბ“ პუნ.). ერთპიროვან დირექტორს აქვს გამგეობის უფლებანი.

გ. სარევიზიო კომისია.

366⁴⁷. სარევიზიო კომისიას აარჩევს საერთო კრება როგორც აქციონერთა, ისე გარეშე პირთაგან, იმავე ვადით, რა ვადითაც არჩეულია გამგეობა. სარევიზიო კომისიის წევრთა რიცხვი განისაზღვრება წესდებით და არ შეიძლება

ლება სამზე ნაკლები იყოს. საერთო კრება აარჩევს აგრეთვე იმავე ვადით სარევიზო კომისიის წევრთა კანდიდატებს რიცხვით ერთიდან სამამდე.

საზოგადოების წესდებით განსაზღვრულ აქციონერთა უმცირესობას შეუძლიან მოითხოვოს, რომ სარევიზო კომისიაში ერთი წევრი არჩეული იყოს მის წრიდან. ასეთ შემთხვევაში ის აქციონერები, რომელნიც შეადგენენ აღნიშნულ უმცირესობას, მონაწილეობას არ იღებენ სარევიზო კომისიის სხვა წევრთა არჩევაში.

366⁴⁸. სარევიზო კომისიას დაეკისრება გამგეობის ყოველწლიური ანგარიშის და საზოგადოების სალაროსი და ქონების შემოწმება, აგრეთვე საზოგადოების ყოველგვარი ხარჯთაღრიცხვისა და გეგმის წინასწარი განხილვა და, საერთოდ, საზოგადოების მთელი საქმისწარმოებისა, ანგარიშ-წარმოებისა და ანგარიშგების რევიზია.

დ. ს ა ბ კ ო.

366⁴⁹. საზოგადოების საქმეთა საერთო ხელმძღვანელობისათვის და გამგეობის მოქმედების სამეთვალყურეოდ საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საბჭოს არჩევა. საბჭოს წევრთა რიცხვი, მისთვის დაკისრებული მოვალეობა და მისი მოქმედების წესი განისაზღვრება წესდებით.

საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იყოს მხოლოდ აქციონერი, უკეთეს წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

VI. საზოგადოების მოქმედების მოსპობა.

366⁵⁰. სააქციო საზოგადოების მოქმედება მოისპობა:

- ა) მის საქმეთა და ქონების ლიკვიდაციით;
- ბ) ულიკვიდაციოდ.

366⁵¹. სააქციო საზოგადოების მოქმედება მოისპობა მისი საქმეების და ქონების ლიკვიდაციით:

- ა) იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც იგი იყო დაარსებული;
- ბ) ისეთ შემთხვევაში, როდესაც საწესდებო კაპიტალს მოაკლდება ორ მესუთედზე მეტი, უკეთეს იგი არ იქნა შეცვლილი მიღებული წესისამებრ, 366¹⁷ მუხლის დაცვით; ამასთანავე შუამდგომლობა საწესდებო კაპიტალს შეცვლის შესახებ უნდა აღიძრას ერთი თვის ვადაზე იმ დღიდან, რა დღესაც დამტკიცდება ის ბალანსი, რომლიდანაც გამოირკვა საწესდებო კაპიტალის აღნიშნული დანაკლისი;

გ) უკეთეს საზოგადოება სასამართლო წესით არაშემძლედ იქნა გამოცხადებული;

დ) მთავრობის დადგენილებით, უკეთეს საზოგადოებამ გადაუხვია წესდებით გათვალისწინებულ მიზანს ან უკეთეს მისი მოქმედება სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგოდ გადაიხრება;

ე) აქციონერთა საზოგადო კრების გადაწყვეტილებით.

366⁵². სააქციო საზოგადოების მოქმედება მოისპობა მისი საქმეების და ქონების ულიკვიდაციოდ:

ა) უკეთუ იგი გაერთიანდა სხვა სააქციო საზოგადოებასთან ახალ სააქციო საზოგადოებად ან უკეთუ იგი შეუერთდა სხვა საზოგადოებას;

ბ) უკეთუ იგი დაიყო ორ ან რამდენსამე დამოუკიდებელ საზოგადოებად;

გ) უკეთუ მისი აქტივი და პასივი გადავიდა სხვა სახის იურიდიულ პირობეში.

366⁵³. 366⁵¹ მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით გათვალისწინებულ პირობებში გამგეობა, არა უგვიანეს ერთი თვის ვადისა იმ დღიდან, რაც წარმოიშვა ლიკვიდაციის საბაზი, მოიწვევს საერთო კრებას, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების და ქონების ლიკვიდაციის წესსა და ვადას.

366⁵⁴. უკეთუ საზოგადოება სასამართლოს წესით არაშემძლედ იქნება ცნობილი (366⁵¹ მუხლის „გ“ პ.), მისი საქმეების და ქონების ლიკვიდაცია მოხდება სპეციალური კანონებით გათვალისწინებული წესისამებრ.

366⁵⁵. 366⁵¹ მუხ. „დ“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში და აგრეთვე იმავე მუხ. „ა“ და „ბ“ პუნქტ. გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრება არ იქნა დროზე მოწვეული (366⁵³) ან და საერთო კრებამ არ მიიღო ლიკვიდაციისათვის საჭირო ღონისძიება, ლიკვიდაციას, მის წესსა და ვადას დანიშნავს ის ორგანო, რომელიც ამტკიცებს საზოგადოების წესდებას.

366⁵⁶. 366⁵¹ მუხ. „ე“ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში საერთო კრება, დაადგენს რა საზოგადოების ლიკვიდაციას, განსაზღვრავს აგრეთვე ლიკვიდაციის წესსა და ვადას.

366⁵⁷. საზოგადოების საქმეებისა და ქონების ლიკვიდაციას მოახდენს სალიკვიდაციო კომისია, არჩეული საერთო კრების მიერ არა ნაკლებ, ვიდრე სამი წევრის შედგენილობით, ან დანიშნული იმავე შედგენილობით იმ ორგანოს დადგენილებით, რომელმაც მიაქცია საზოგადოება სალიკვიდაციოდ (366⁵⁵).

უკეთუ სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების კრედიტორთა შორის არიან სახელმწიფო ან კოოპერატიული ორგანიზაციები, სალიკვიდაციო კომისიის შედგენილობაში შეიძლება დაინიშნოს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

366⁵⁸. საზოგადოების საქმეთა და ქონების სალიკვიდაციო ვადა, რასაც დააწესებს საერთო კრება ან ის ორგანო, რომლის დადგენილებითაც მოხდება საზოგადოების ლიკვიდაცია (მუხ. 366⁵³), არ შეიძლება აღემატებოდეს ერთ წელიწადს დღიდან საზოგადოების სალიკვიდაციოდ მიქცევის შესახებ დადგენილების გამოტანისა.

366⁵⁹. სალიკვიდაციო კომისია, მისი არჩევის ან დანიშვნის უმაღლვე, შეიტანს სათანადო სავაჭრო რეგისტრაციის ორგანოში განცხადებას საზოგადოების სალიკვიდაციოდ მიქცევის შესახებ და, სავაჭრო რეგისტრში ჩაწერის შემდეგ მოახდენს პუბლიკაციას, რომელშიც აღნიშნავს სალიკვიდაციო კომისიის შედგენილობას, მის სამყოფელ ადგილს და აგრეთვე ვადას პრეტენზიების განცხადებისათვის. პუბლიკაცია უნდა მოხდეს გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნ“-სა და „კომუნისტ“-ში.

366⁶⁰. სალიკვიდაციო კომისია მოვალეა: ზედმიწევნით გამოარკვიოს საზოგადოების აქტივი და პასივი, შეადგინოს გამგეობის მონაწილეობით შესავალი სალიკვიდაციო ბალანსი, მონახოს, შეაფასოს და გაანაღდოს საზოგადოების ქონება, გადაახდევინოს საზოგადოების მოვალეებს ვალი, შეიმუშაოს ქონების ლიკვიდაციისა და კრედიტორების დაკმაყოფილების გეგმა, შეასრულოს ეს გეგმა, — კერძოდ, შერიგებით, — და შეადგინოს სალიკვიდაციო ანგარიში და დამთავრებითი სალიკვიდაციო ბალანსი.

366⁶¹. სალიკვიდაციო კომისიას თავისი მოვალეობის შესრულების დროს აქვს საზოგადოების გამგეობის უფლებანი, საზოგადოების წესდების თანახმად, და შეუძლიან დასდოს ყოველგვარი გარიგება, რაც კი საჭირო იქნება ლიკვიდაციისათვის, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში და გასწიოს სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების წარმომადგენლობა სათანადო შემთხვევაში.

366⁶². საერთო კრების მიერ არჩეულ სალიკვიდაციო კომისიას კონტროლს გაუწევს სარევიზიო კომისია ლიკვიდაციის დამთავრებამდე. სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების გამგეობა სალიკვიდაციო კომისიის არჩევის მომენტიდან მოსპობს თავის მოქმედებას და საზოგადოების ყველა საქმესა და ქონებას გადასცემს სალიკვიდაციო კომისიას, ლიკვიდაციის წესის ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რაც საერთო კრებაზე არ ყოფილა გათვალისწინებული, აგრეთვე წარმოებული ლიკვიდაციის ანგარიშისა და დამთავრებითი სალიკვიდაციო ბალანსის დასამტკიცებლად სალიკვიდაციო კომისია მოიწვევს საერთო კრებას.

366⁶³. სალიკვიდაციო კომისია, როდესაც იგი მოწყობილია დანიშნული წესით (მუხ. 366⁵⁹) მოქმედობს მისი დამნიშვნელი ორგანოს კონტროლით; ამ ორგანოს ეკუთვნის აგრეთვე სალიკვიდაციო ანგარიშისა და დამთავრებითი სალიკვიდაციო ბალანსის საბოლოო დამტკიცების უფლება. სალიკვიდაციო კომისიის დანიშნვის მომენტიდან ლიკვიდაციად მიქცეული საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული მართველობისა და სარევიზიო ორგანოები მოსპობენ თავიანთ მოქმედებას და საზოგადოების გამგეობა გადასცემს საზოგადოებას ყველა საქმესა და ქონებას სალიკვიდაციო კომისიას. საზოგადოების წევრთა საერთო კრება მოიწვევა სალიკვიდაციო კომისიის მიერ სალიკვიდაციო ანგარიშისა და დამთავრებითი სალიკვიდაციო ბალანსის წინასწარ განსახილველად.

366⁶⁴. სალიკვიდაციო კომისიის წევრები არა კანონიერი მოქმედებითა და დაუდევრობით მიყენებული ზარალისათვის სოლიდარულად აგებენ პასუხს სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების აქციონერებისა და კრედიტორების წინაშე.

366⁶⁵. კრედიტორების ყველა პრეტენზია, იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად საუფშელიანია იგი, რითია უზრუნველყოფილი და დადგა თუ არა მისი დაკმაყოფილების ვადა, უნდა განეცხადოს სალიკვიდაციო კომისიას არა უგვიანეს ორი თვისა 366⁵⁹ მუხლით გათვალისწინებული პუბლიკაციის დღიდან.

თავისი მხრით სალიკვიდაციო კომისია პრეტენზიების განცხადების ვადის გასვლის დღისათვის გამოარკვევს საზოგადოების ყველა ვალს იმისდა მიუხედავად, შეტანილია თუ არა განცხადება კრედიტორებისაგან.

366⁶⁶. ისეთი პრეტენზია რაც კრედიტორს არ განუცხადებია 366⁵⁵ მუხ. გათვალისწინებულ ვადაზე და რაც ამავე ვადაზე არ იქნება გამოარკვეული სა-

ლიკვიდაციო კომისიის მიერ, კრედიტორს შეუძლიან განუცხადოს სალიკვიდაციო კომისიას მთელი დარჩენილი სალიკვიდაციო ვადის განმავლობაში; ამასთანავე ასეთი პრეტენზიის დაკმაყოფილება, უკეთუ მას სალიკვიდაციო კომისია სცნობს, შეიძლება 366⁶⁹ მუხ. გათვალისწინებული რიგობრიობის წესით, მართოდენ იმ სახსარიდან, რაც განცხადების შემოსვლის დროს ჯერ კიდევ განაწილებული არ იქნება სალიკვიდაციო კომისიის მიერ სხვა კრედიტორთა შორის.

366⁶⁷. უკეთუ საზოგადოების სალიკვიდაციო მიქცევის შემდეგ გამოირკვა, რომ მისი ქონება საკმარისი არ არის კრედიტორებთან ანგარიშების გასასწორებლად და თანაც შეუძლებელია ამ უკანასკნელებთან შეთანხმება იმის შესახებ, თუ როგორ მოხდეს მათი დაკმაყოფილება, სალიკვიდაციო კომისია მოვალეა, ერთი კვირის განმავლობაში ამ გარემოების გამორკვევის შემდეგ, აცნობოს ეს სათანადო სასამართლოს, რათა ამ უკანასკნელმა აღძრას საქმე საზოგადოების არაშემძლედ ცნობისათვის. სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების არაშემძლეობის შესახებ საქმის აღძვრის უფლება ეკუთვნის აგრეთვე კრედიტორებს და იმ ორგანოებს, რომელნიც გათვალისწინებულ არიან არაშემძლეობის შესახებ გამოცემული კანონებით.

366⁶⁸. სალიკვიდაციო კომისია, არა უგვიანეს ერთი კვირისა კრედიტორების განცხადების შესვლის დღიდან,—ხოლო, უკეთუ ეს შეეხება თვით ამ კომისიის მიერვე გამორკვეულ პრეტენზიებს, არა უგვიანეს ორი თვისა საზოგადოების სალიკვიდაციოდ მიქცევის პუბლიკაციის დღიდან (მუხ. 366⁶⁹),—შეატყობინებს კრედიტორებს—სცნობს თუ არა იგი მათ პრეტენზიებს, და ამასთანავე აღნიშნავს, რა თანხას სცნობს და რა კატეგორიას მიეკუთვნა მათი პრეტენზია (366⁶⁹ მუხ.).

აღსრულების ფურცელზე და სასამართლო ბრძანებაზე დამყარებული პრეტენზია, აგრეთვე ისეთი პრეტენზია, რომლისთვისაც მიღებულია გადახდევინების უღაფო წესი, შეიტანება ცნობილ პრეტენზიათა სიაში და მათი განსაჩივრება სალიკვიდაციო კომისიის შეუძლიან მხოლოდ საერთო, კანონით დადგენილი, წესით.

ორი კვირის ვადის განმავლობაში დღიდან კრედიტორის მიერ სალიკვიდაციო კომისიის შეტყობინების მიღებისა, რომ მისი პრეტენზია ჩარიცხულია სრულიად უარყოფილ ან ნაწილობრივ ცნობილ პრეტენზიებში, მას უფლება აქვს აღძრას სალიკვიდაციო კომისიის წინააღმდეგ, საერთო წესით, სარჩელი მისი პრეტენზიის ცნობის შესახებ.

366⁶⁹. ყველა ცნობილი პრეტენზია, მათი ვადის მიუხედავად, უნდა დაიფაროს სალიკვიდაციო ვადის განმავლობაში. კრედიტორების დაკმაყოფილების დროს სალიკვიდაციო კომისიამ უნდა დაიცვას პრეტენზიების რიგობრიობა, რაც დაწესებულია არაშემძლეობის შემთხვევისათვის. იმ ფარგლებში, რაც საჭიროა აღნიშნული რიგობრიობის განსახორციელებლად, სალიკვიდაციო კომისიას უფლება აქვს შესცვალოს ხოლმე სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების ვალდებულებებით გასაცემი თანხების გადახდის ვადა საერთო სალიკვიდაციო ვადის ფარგლებში (მუხ. 366⁶⁸); ამასთანავე იგი არ იხდის პირგაუტეხელობის ჯარიმას, ხოლო იხდის ვადაგადაცილებულ დროისათვის პროცენტებს სსრ კავშირის სა-

ხელშეწოვა ბანკის სადისკონტო პროცენტის რაოდენობით. ვადის გაგრძელება არ შეიძლება:

ა) მუშა-მოსამსახურეთა ისეთ პრეტენზიებზე, რაც ემყარება შრომის კანონმდებლობას, აგრეთვე შრომისა და კოლექტიურ ხელშეკრულებას;

ბ) ისეთ გადასახდელზე, რაც გაღებულ უნდა იქნეს დაშვებისა და სიკვდილისათვის, აგრეთვე სოციალური დაზღვევისათვის—მისი ხედრი საურავითურთ.

366⁷⁰. უკეთუ სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების სახელით სალიკვიდაციო კომისიის დაარსებამდე დადებული ორმხრივი ხელშეკრულება, ორივე მხარის მიერ მთლად ან ნაწილობრივ არ არის შესრულებული და უკეთუ მისი შესრულების ვადა სალიკვიდაციო ვადას სცილდება (366⁶⁸ მუხ.), სალიკვიდაციო კომისიას უფლება აქვს ეს ხელშეკრულება მოშლილად სცნოს, ხოლო კრედიტორებს უნდა აენახლათროს ზარალი 366⁶⁹ მუხ. გათვალისწინებული წესისამებრ.

უკეთუ სალიკვიდაციო კომისია ერთი თვის განმავლობაში დღიდან საზოგადოების სალიკვიდაციოდ მიქცევის პუბლიკაციისა (366⁶⁹ მუხ.), არ განუცხადებს კონტრაგენტებს, რომ ამა მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ხელშეკრულება მოშლილია, ამ ხელშეკრულებას შერჩება თავისი ძალა.

366⁷¹. სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოებისათვის წარდგენილი ყველა ისეთი პრეტენზია, რაც სალიკვიდაციო კომისიის მოქმედების პერიოდში წარმოიშვა, დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების ქონებიდან საერთო წესით, ისე, თითქო საზოგადოება არც კი ყოფილიყოს სალიკვიდაციოდ მიქცეული.

366⁷². ისეთი პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად, რასაც სალიკვიდაციო კომისია არა სცნობს და რაც გადასაწყვეტად სასამართლოს გადაეცემა, გადაირიცხება სასარჩელო განცხადებაში აღნიშნული თანხები; ეს თანხები კრედიტორებს მიეცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შევა. უკეთუ სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილ არ იქნა სალიკვიდაციო კომისიის მოქმედების დამთავრების დღემდე, სადავო თანხა იუსტიციის სახლხო კომისარიატის დეპოზიტად შეიტანება.

366⁷³. კრედიტორებისათვის მისაცემ თანხას, უკეთუ იგი მოთხოვნილ არ იქნა ერთი კვირის განმავლობაში სალიკვიდაციო ანგარიშის დამტკიცების დღიდან, სალიკვიდაციო კომისია შეიტანს იუსტიციის სახ. კომისარიატის დეპოზიტად კრედიტორის სახელზე.

366⁷⁴. კრედიტორის ისეთი პრეტენზია, რაც დაკმაყოფილებული არ იყო სალიკვიდაციო კომისიის მიერ იმის გამო, რომ კრედიტორს იგი არ განუცხადებია, და არც თვით სალიკვიდაციო კომისიას გამოურკვევია სალიკვიდაციო ანგარიშის დამტკიცებამდე დაკმაყოფილებულად ჩითვლება.

366⁷⁵. საზოგადოების ვალების გადახდისა და სათანადო შემთხვევაში 366⁷² მუხ. უზრუნველყოფის შემდეგ, დანარჩენი ქონება განაწილება აქციონერთა შორის მათი კუთვნილი აქციების რიცხვის მიხედვით, უკეთუ წესდებით აღნიშნული ქონება სხვა რამ დანიშნულებას არ უნდა მოხმარდეს.

366⁷⁶. არა უგვიანეს ერთი თვისა სალიკვიდაციის დამთავრების შემდეგ სალიკვიდაციო კომისია შეადგენს სალიკვიდაციო ანგარიშს და დამთავრებით

სალიკვიდაციო ბალანსს და წარუდგენს მას დასამტკიცებლად საერთო კრებას (მუხ. 366⁶²) ან იმ ორგანოს, რომელმაც დანიშნა სალიკვიდაციო კომისია (მუხ. 366⁶³). სალიკვიდაციო კომისია სამი დღის ვადაზე ანგარიშის დამტკიცების შემდეგ ლიკვიდაციის დამთავრებას აცნობებს, რეესტრში აღსანიშნავად, იმ ორგანოს, რომელმაც სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოება რეგისტრაციაში გაატარა.

366⁶⁷. სალიკვიდაციო კომისიის შესანახად საჭირო ხარჯი გაიღება სალიკვიდაციოდ მიქცეული საზოგადოების ქონებიდან საერთო კრების ან იმ ორგანოს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, რომელმაც დანიშნა სალიკვიდაციო კომისია.

366⁶⁸. დაეთრები, დოკუმენტები და სხვა მასალა ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ გადაეცემა იმ ორგანოს, რომელმაც რეგისტრაციაში გაატარა ლიკვიდაციაქმნილი საზოგადოება; ამასთანავე ეს ორგანო ვალდებულია ყველა ეს მასალა შეინახოს სამი წლის განმავლობაში, ხოლო, ამ ვადის გავლის შემდეგ, მოექცეს ამ ქონებას ცენტრალური არქივის სამართველოს დირექტივების თანახმად.

366⁶⁹. წარმომადგენლობის წესი ისეთ სასარჩელო საქმეზე, რომელიც არ დამთავრებულა სალიკვიდაციო კომისიის მოქმედების მოსპობამდე, განისაზღვრება განსაკუთრებული კანონით.

VII. სახელმწიფო სააქციო საზოგადოებანი.

366⁸⁰. 322—366⁷⁹ მუხლი შეეფარდება სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებს (მუხ. 324) ქვემო მუხლებით გათვალისწინებული თავისებურობით.

366⁸¹. სახელმწიფო სააქციო საზოგადოება წარმოადგენს კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ სახელმწიფო საწარმოს.

საერთო კანონები, რომელიც შეეხება კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ ყველა სახელმწიფო საწარმოს, იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის ორგანიზაციად არის იგი ჩამოყალიბებული, ვრცელდება აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებაზედაც, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის დაწესებული.

366⁸². სახელმწიფო სააქციო საზოგადოება იმყოფება იმ სახელმწიფო დაწესებულების გამგებლობაში, რომელიც განსაზღვრულია ამ საზოგადოების დასაარსებლად ნებართვის მიმცემი ორგანოს მიერ და აღნიშნულია საზოგადოების წესდებაში.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, ეკონომიური საბჭოს ნებართვით, შეიძლება ისეთი სახელმწიფო სააქციო საზოგადოების არსებობა, რომელიც არ იმყოფება ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების უშუალო გამგებლობაში. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების წესდებით გათვალისწინებული უნდა იყოს ის სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც განახორციელებს დამოუკიდებლად ან სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან შეთანხმებით იმ ფუნქციებს, რაც კომერციულ (სამეურნეო) ანგარიშზე მომქმედ ყველა სახელმწიფო საწარმოს შესახებ არსებული საერთო კანონით.

ნით იმისდა მიუხედავად, თუ რა სახის ორგანიზაციად არის იგი ჩამოყალიბებული, დაკისრებული აქვს იმ დაწესებულებას, რომლის გამგებლობაშიაც საწარმოა.

366⁸³. ის დაწესებულება, რომლის გამგებლობაშიაც საზოგადოება (366⁸³), ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრების დადგენილებებს:

ა) გამგეობის, საბჭოსი, სარევიზიო და სალიკვიდაციო კომისიის შემადგენლობის შესახებ;

ბ) მომავალი წლის საფინანსო-საოპერაციო გეგმის შესახებ;

გ) წარსული საოპერაციო წლის ანგარიშის დამტკიცების შესახებ; თანაც ბალანსის დამტკიცება, მოგების განაწილება და ზარალის დაფარვის საშუალების გამოკრევეა მოხდება განსაკუთრებული კანონით გათვალისწინებული წესით;

დ) წესდების შეცვლისა და საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

ამის გარდა, აღნიშნული დაწესებულება განახორციელებს სხვა ისეთ ფუნქციებსაც, რაც, 366⁸¹ მუხ. მოხსენებული საერთო კანონების მიხედვით, შეადგენს იმ დაწესებულების კომპენტენციას, რომლის გამგებლობაშიაც საწარმოა.

366⁸⁴. იმ დაწესებულებას, რომლის გამგებლობაშიაც სააქციო საზოგადოება (მუხ. 366⁸²), უფლება აქვს:

ა) მოიწვიოს აქციონერთა სავანგებო კრება;

ბ) წარაღლინოს თავისი წარმომადგენელი სათათბირო ხმით აქციონერთა საერთო კრებაზე;

გ) შეიტანოს საერთო კრების დღის წესრიგში ესა თუ ის საკითხი.

366⁸⁵. ის სახალხო კომისარიატი, რომლის გამგებლობაშიაც სახელმწიფო სააქციო საზოგადოებაა, შეუძლიან თავისი უფლების ნაწილი, აღნიშნული საზოგადოების მიმართ, გადასცენ თავის ადგილობრივ ორგანოებს ყოველ ცალკე შემთხვევაში განსაკუთრებული შეთანხმებით.

366⁸⁶. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების დამფუძნებელთა რიცხვი არ შეიძლება ორზე ნაკლები იყოს.

366⁸⁷. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების აქციების შესასყიდად შეიძლება ისეთი ქონების შეტანაც, რომლის გასხვისება კერძო პირზე არ შეიძლება; ამასთანავე ეს ქონება შეფასდება იმ წესით, რასაც გადოსცემს სსრკ ფინანსთა სახალხო კომისარიატი სსრკ სავარეო და შინაეაქრობის სახალხო კომისარიატთან და სსრკ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან შეთანხმებით. სახელმწიფო სააქციო საზოგადოებისთვის გადაცემული მიწა, წყალი, მიწის წილი და ტყე არ შეიძლება მიღებულ იქნენ აქციების შესასყიდად; საზოგადოების აქციების შესასყიდად შეიძლება მიღებულ იქნეს მიწისა, წყლისა, მიწის წილისა და ტყის სარგებლობის უფლება, 353 მუხ. შენიშვნის შესრულებით.

366⁸⁸. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების აქციების გასხვისება, გასხვისების ბათილობის რიგით, არ შეიძლება არაფეზე, სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოს გარდა.

366⁸⁹. სახელმწიფო სააქციო საზოგადოებას შეიძლება შეეკვეთოს საქონელი ან რაიმე მომსახურეობის გაწევა სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების პროდუქციის დაკვეთის წესის თანახმად; ამასთანავე ამგვარი შეკვეთა ისეთი საზო-

გადობისათვის, რომელიც არ იმყოფება ამა თუ იმ სახელმწიფო დაწესებულების გააგებლობაში (366⁹² მუხ. შენიშვნა), უნდა მოხდეს ეკონომიური საბჭოს დადგენილებით.

366⁹⁰. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების წესდებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საერთო კრების მოწვევა უპუბლიკაციოდ, აქციონერებისათვის უწყების დაგზავნით.

366⁹¹. ყოველწლივ საოპერაციო წლის დაწყებამდე, სახელმწიფო სააქციო საზოგადოებაში მოწვეულ უნდა იქნეს საერთო კრება მომავალი წლის გასავლის ხარჯთაღრიცხვისა და საფინანსო-საოპერაციო გეგმის დასამტკიცებლად.

366⁹². სახელმწიფო სააქციო საზოგადოების საბჭოს წევრი არ იღებს გასამრჯელოს, უკეთუ წესდებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

366⁹³. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების ლიკვიდაციის დროს საკითხი იმის შესახებ, თუ რას უნდა მოხმარდეს საზოგადოების ისეთი ქონება, რომლის განსხვავებაც კერძო პირზე არ შეიძლება და აგრეთვე საზოგადოების ყველა კრედიტების, მიღებული წესით, დაკმაყოფილების შემდეგ დარჩენილი ქონება, გადაწყდება ეკონომიური საბჭოს დადგენილებით, უკეთუ ყველა აქციონერი საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. დაწესებულება ან საწარმოა, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში— შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებით.

366⁹⁴. 366⁷⁰ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სალიკვიდაციოდ მიქცეული სახელმწიფო სააქციო საზოგადოების კონტრაგენტების ზარალი, გამოწვეული ხელშეკრულების ვადამდე მოშლით, ანაზღაურებულ უნდა იქნეს მხოლოდ იმ რაოდენობით, რაც უდრის მათი ქონებისათვის მიყენებულ ნამდვილ ზარალს.

366⁹⁵. სახელმწიფო სააქციო საზოგადოების სალიკვიდაციო კომისიაში აუცილებლად უნდა შედიოდეს ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი.

VIII. შერეული სააქციო საზოგადოებანი.

366⁹⁶. 322—366⁷⁹ მუხლების წესი შეეფარდება შერეულ სააქციო საზოგადოებებს (მუხ. 324) ქვემო მუხლებში გათვალისწინებულ თავისებურობით.

366⁹⁷. შერეულ სააქციო საზოგადოებაზე გავრცელდება კერძო იურიდიულ პირთა შესახებ არსებული საერთო კანონები, რამდენადაც კანონით სხვა რამ არ არის დაწესებული.

366⁹⁸. შერეული სააქციო საზოგადოების ისეთ აქციებს, რაც წესდების თანახმად სახელმწიფო დაწესებულებათ ან სახელმწიფო საწარმოთ უნდა ეკუთვნოდეს, ეწოდება სახელმწიფო აქციები. ამ აქციების გასხვისება, გასხვისების ბათილობის რიდით, არავიზე არ შეიძლება, გარდა სახელმწიფო დაწესებულებისა და სახელმწიფო საწარმოსი და ეს აღნიშნული უნდა იქნეს თვით აქციის ტექსტში (სააქციო მოწმობაში).



366⁹⁹. შერეულ სააქციო საზოგადოებაზე გავრცელება 366⁹¹, 366⁹² და 366⁹⁴ მუხ.

სრულიად საქართველოს ცენტრ: აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. ვ. ხტურუა.

1928 წ. ივლისის 18.

ტფილისი—სასახლე.

38. დადგენილება № 106 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქონლის ჭირის მხრით საქართველოს სსრ ტერიტორიის არასაშიშ მდგომარეობაში ყოფნის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

გამოცხადებულ იქნეს, რომ საქართველოს სსრ მიეღი ტერიტორია, აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიითურთ, 1928 წლის ივნისის 1-დან საქონლის ჭირის მხრით არასაშიშ მდგომარეობაშია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. ვ. ხტურუა.

1928 წ. აგვისტოს 29.

ტფილისი—სასახლე.